საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი

№ 07-3/20
29 01 20 25
85 ფურცელი

საქართველოს პარლამენტის აპარატის
საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს,
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

ქალბატონო ეთერ,

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 99-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების, 101-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 102-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტს „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველოს კანონის პროექტებს: „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „დოკუმენტის სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს ორგანული კანონის პროექტს საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“.

ინიციატორის მიერ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის შესაბამისად, მოთხოვნილია წარმოდგენილი კანონის პროექტების დაჩქარებული წესით განხილვა და მიღება (შესაბამისი დასაბუთება ასახულია განმარტებით ბარათში).

გთხოვთ, წარმოდგენილ კანონპროექტებს მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

პატივისცემით,

საქართველოს პარლამენტის წევრი

შალვა ყაყუაშვილი